ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲚᲔᲚᲝ

№ 128 (4122)

1970 წ. 2 ივლისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲣᲜᲐᲙᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

თბილისი. სპორტის სასახლე. 30 ივნისი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ასკ (რიგა) 79:72 (43:39).

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ": ბიჭიაშვილი (26), პულავსკი (21), გლურჯიძე (11), ჩხიკვაძე (11), ძიძიგური (8), ჯუღელი (2).

ასკ: ფრეიმანისი (20), ეგლიტისი (13), ბირზნიეკსი (12), ზაბელო (8), ბალოდისი (8), მუიჟნიეკსი (7), ზებერგსი (4), იასუნსი, ლეგზდინში, ტროიცისი.

მსაჯები: ვ. ანცელევიჩი, ვ. ბაბუშკინი (ორივე — ხარკოვი).



სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

თბილისის „დინამოსთან" გამარჯვების შემდეგ რიგის არმიელთა წინაშე ერთობ მომხიბლავი პერსპექტივა გადაიშალა: საქართველოში აღებულ 2 ქულას არმიელთა პოზიცია სატურნირო ცხრილში საგრძნობლად უნდა განემტკიცებინა და, რაც უფრო მთავარია, გაქრო აუტსაიდერებთან უშუალო სიახლოვით გამოწვეული საშიშროება.

„ბურევესტნიკთან" წარმატების რეალური საფუძვლები გუნდმა III წრის სტარტზევე შექმნა. ორი საპატიო მარცხი წლევანდელი გათამაშების ლიდერებთან ცსკა-სთან და კიევის „სტროიტელთან" (მათსავე მოედანზე) საბაბს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ დროს უძლიერესი კოლექტივი დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას ცდილობდა. დინამოელებთან გამარჯვებამ ეს რწმენა კიდევ უფრო განამტკიცა, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ამის გამო გუნდმა დაკარგა სიფრთხილის გრძნობა და თავის თავზე გაზვიადებული წარმოდგენის ტყვეობაში მოექცა. ასეთი შეცდომა ლატვიელებს, როგორც ნამდვილ სატურნირო მებრძოლებს, არ მოსდით.

რიგის გუნდმა თამაში ისეთივე მონდომებითა და სერიოზულობით დაიწყო, როგორც მისმა მეტოქემ — „ბურევესტნიკმა". თბილისელებს რამდენიმე რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. ჯერ ერთი, ტანმაღალი ეგლიტისის ნეიტრალიზება, ცენტრალური თავდამსხმელისა, რომელიც უდავოდ შეტევის მოწინავე ხაზზე იქნებოდა წამოწეული. არანაკლებ რთული პრობლემა იყო ფარის უსაფრთხოების მოგვარება და რიგელთა მთავარი სნაიპერის ფრეიმანისის გამოთიშვა საერთო ანსამბლიდან. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ თბილისელებმა წარმატებით გადაჭრეს სამივე საკვანძო საკითხი და მეტოქეს პირველივე წუთიდან თავს მოახვიეს საკუთარი ნება-სურვილი.

ფარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დაეკისრათ პულავსკისა და ძიძიგურს, თამაშის სტრატეგიული ხელმძღვანელობა — გლურჯიძესა და ჩხიკვაძეს, მეტოქის კალათზე უშუალო იერიში — ბიჭიაშვილს. ასეთი იყო ბურევესტნიკელთა მოქმედების სქემატური ნახაზი, რომელიც ბრძოლის პროცესში, რა თქმა უნდა, იცვლიდა ხოლმე სახეს, მაგრამ ძირითადად მაინც უცვლელი დარჩებოდა. თბილისელებმა მოიგეს შეხვედრა. ისინი წინ იყვნენ მთელი 40 წუთის მანძილზე და უცვლელად კარნახობდნენ ბრძოლის ტემპსა და რითმს. „ბურევესტნიკის" ყველა წევრი (ზემოჩამოთვლილი ხუთეულის გარდა თამაშში მონაწილეობდა ჯუღელიც) ერთნაირი მონდომებითა და უნარით სჭედდა წარმატებას, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის.

ამ წერილში განგებ არ გამოვყოფთ გამარჯვებულთა შორის არავის, იმ უბრალო მიზეზით, რომ შედეგი მთელი კოლექტივის მონდომებისა და თავგანწირვის ნაყოფი იყო. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს თამაშის უნაკლო ორგანიზაცია, რამაც, ჩვენის აზრით, განაპირობა ბრძოლის ბედი.

ნ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

## ᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ერთი მატჩი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ადგილობრივმა „დინამომ" უმასპინძლა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ლენინგრადის „სპარტაკს", რომელმაც რამდენიმე დღის წინ დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა. მასპინძლების უპირატესობა ამჯერად უდავო იყო, რაც, სხვათა შორის, შედეგიდანაც ჩანს: „დინამომ" გაიმარჯვა — 74:56. ამ მატჩში მაღალი ოსტატობა გამოავლინა ორმა ალექსანდრემ — ლენინგრადელმა ბელოვმა და მოსკოველმა ბოლოშევმა.

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ᲪᲡᲙᲐ | 27 | 24 | 3 | 2254—1902 | 24 |
| „ᲡᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚᲘ" (კიევი) | 26 | 20 | 6 | 2074—1861 | 20 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ლენინგრადი) | 27 | 20 | 7 | 2015—1812 | 20 |
| „ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (კაუნასი) | 26 | 19 | 7 | 2052—1965 | 19 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მოსკოვი) | 26 | 15 | 11 | 2130—2050 | 15 |
| „ᲙᲐᲚᲔᲕᲘ" (ტარტუ) | 26 | 13 | 13 | 2066—2055 | 13 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) | 26 | 13 | 13 | 2072—2106 | 13 |
| ᲐᲡᲙ (კიევი) | 27 | 10 | 17 | 1937—1977 | 10 |
| „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (თბილისი) | 27 | 8 | 19 | 1959—2158 | 8 |
| ᲐᲡᲙ (რიგა) | 26 | 7 | 19 | 1902—2061 | 7 |
| „ᲣᲠᲐᲚᲛᲐᲨᲘ" (სვერდლოვსკი) | 25 | 5 | 20 | 1852—2090 | 5 |
| „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ" (ალმა-ათა) | 26 | 4 | 22 | 1898—2152 | 4 |

## 20.45

◆ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 1 ივლისი. აქ მიმდინარე მძლეოსანთა ასპარეზობაში მონაწილე საბჭოთა სპორტსმენმა ე. ბორისენკომ მოიგო 400 მეტრზე რბენა — 48,3 წ. ჭოკით ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ვ. ნორდვიგმა (გდრ) მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს ბ. სიგრენს (აშშ). გამარჯვებულის შედეგია 530 სმ. 5.000 მეტრზე რბენაში იმარჯვა ფინელმა ი. ვეეტიაინენმა — 13.53,0, უროს ტყორცნაში — მ. ნემეტმა — (უნგრეთი) — 85,50 მ. მსოფლიო რეკორდსმენი ი. კინუნენი (ფინეთი) მესამე იყო — 82,94 მ.

◆ ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 1 ივლისი. ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა, დანიელმა მძლეოსანმა ქალმა ა. დამ-ოლენსემ 800 მეტრზე რბენაში უკან ჩამოიტოვა მსოფლიო რეკორდსმენი ამ დისტანციაზე, იუგოსლაველი ვ. ნიკოლიჩი. დანიელმა სპორტსმენმა აჩვენა 2.07,5. ნიკოლიჩის დროა 2.07,9.

# ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ

რუსთავის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა „განთიადის" საქალაქო სპარტაკიადა. მონაწილენი დაყოფილნი იყვნენ ორ ჯგუფად. I ჯგუფის გუნდებს შორის ფრენბურთში (ვაჟები), შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტყვიის სროლაში ყველას აჯობა სპორტკლუბმა „ფოლადმა". ფრენბურთსა (ქალები) და კალათბურთში გაიმარჯვეს ქიმიური კომბინატის წარმომადგენლებმა, ხოლო ჭადრაკში — მშენებლებმა. მართალია, „ფოლადმა" მეტი პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ სპარტაკიადის ჩემპიონობა მაინც ქიმიური კომბინატის სპორტსმენებს ხვდათ, ვინაიდან მათ 16 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ, „ფოლადს" — 17. ეს იყო ქიმიკოსების ზედიზედ მეორე გამარჯვება სპარტაკიადაში. III ადგილზეა მშენებელთა კოლექტივი — 26 ქულა.

II ჯგუფის გუნდებს შორის ყველას აჯობეს ავტომატმრეწვის საპროექტო საკონსტრუქტორო ინსტიტუტის სპორტსმენებმა, II ადგილზე გავიდა შარშანდელი ჩემპიონი — საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი ინსტიტუტის ნაკრები, III — თუჯმსხმელი ქარხნის გუნდი.

სუსტად გამოვიდნენ ქიმიური ბოჭკოსა და ცემენტის ქარხნების მრავალრიცხოვანი კოლექტივები. საყვედურის ღირსნი არიან, აგრეთვე, ცემენტის ქარხნის სარემონტო სამონტაჟო სამმართველოს, ელექტრო-ნაკეთობათა სამაგრების ქარხნისა და სამშენებლო მასალათა კომბინატის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთაც თავი აარიდეს ასპარეზობას.

რ. ᲑᲐᲑᲠᲘᲙᲘᲫᲔ.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რუსთავის ქიმიური კომბინატისა და „ფოლადის" კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვეს ქიმიკოსებმა.

ავტორის ფოტო.



საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც გუშინ დამთავრდა თბილისში.

ს უ რ ა თ ზ ე: 74 კგ წონის მოჭიდავეთა შეხვედრის მომენტი. თბილისელი გ. ჭელიძე ილეთს უტარებს ბათუმის გუნდის წევრს ი. ვარშანიძეს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ᲙᲕᲚᲐᲕ Ბ. ᲝᲜᲘᲨᲩᲔᲜᲙᲝ

კიევის დინამოელმა ბ. ონიშჩენკომ ზედიზედ მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა თანამედროვე ხუთჭიდში. მან ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 5324 ქულა მოაგროვა. ონიშჩენკოს უახლოესი მეტოქე, მოსკოველი ს. შაპარნისი მთელი 189 ქულით ჩამოიტოვა.

ეს შედეგი სავსებით კანონზომიერია. ჯერ ერთი, ონიშჩენკო ახლა მართლაც უძლიერესია სსრ კავშირში, მეორეც, მას ყველაზე უკეთ შეუძლია მოემზადოს წლის საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის. განვლილ სეზონში იგი სწორედ ქვეყნის პირველობისთვის იყო ყველაზე უკეთეს ფორმაში და ეს ფორმა პლანეტის ხუთჭიდელთა ასპარეზობისთვისაც შეინარჩუნა. ბუდაპეშტში ონიშჩენკომ პირველობა დაუთმო მხოლოდ „თვით" ა. ბალცოს, თანამედროვე ხუთჭიდის ნამდვილ ჯადოქარს.

უძლიერესთა ექვსეულში, ონიშჩენკოსა და შაპარნისის გარდა, შევიდნენ ლვოველი ლ. ივანოვი (5048), როსტოველი ვ. კრიაჟევი (5029), მინსკელი ვ. ბელოვი (4987) და ალმა-ათელი ვ. სვატენკო (4927).

მექსიკის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ლვოველი პ. ლედნიოვი ამჯერად მეცხრე იყო (4889 ქ.), ახალგაზრდა, საიმედო მოსკოველი სპორტსმენი ვ. შმელიოვი XIV ადგილზე გავიდა — 4817. ეს უკანასკნელი შემთხვევით როდი დავასახელეთ. სტაბილურობით, რაც თანამედროვე ხუთჭიდისთვის მთავარია, შმელიოვიც გამოირჩევა. იგი სამართლიანად აცხადებს პრეტენზიას ადგილზე ნაკრებში, რომელმაც ერთი თვის შემდეგ ვარენდორფში (გფრ) მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში უნდა იასპარეზოს.

ნაკრების დაკომპლექტება მწვრთნელების საქმეა. წლევანდელმა ჩემპიონატმა მათ დიდი დახმარება გაუწია ამ საკითხის გადაწყვეტაში. პირველმა ორმა სახეობამ — ფარიკაობამ და ცხენოსნურმა კროსმა სერიოზულად დააფიქრა გუნდის ხელმძღვანელები. ხუთჭიდელთა მომზადების დონე მათ სათანადოდ მაღალი არ ეჩვენათ. მაგრამ შემდეგ მწვრთნელები დამშვიდდნენ, რადგან შედეგები საგრძნობლად ამაღლდა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ წლევანდელი სეზონი უწინდელზე ადრე დაიწყო (მსოფლიო ჩემპიონატამდე რაღა დარჩა!) იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აგვისტოში ვარენდორფში მთავარი მეტოქეები კვლავ სსრ კავშირის და უნგრეთის წარმომადგენლები იქნებიან.

სსრ კავშირის ჩემპიონატი შეაჯამა მძლეოსნურმა კროსმა 4 კმ-ზე. აქ საუკეთესო აღმოჩნდა შაპარნისი — 12.42. მეორე იყო სვატენკო — 12.50. შმელიოვის შედეგია 12.55, ბელოვისა — 12,58, ონიშჩენკოსი — 13.07.





# „ცისკრის“ მეოთხე შემოდგომა

სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის“ რესპუბლიკურ შეჯიბრებას საფუძველი ოთხი წლის წინ ჩაეყარა. თავდაპირველად ფინალური ტურნირი მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ შემდეგ ამ საინტერესო თამაშში, რომელიც რამდენიმე ეტაპად თითქმის მთელი სასწავლო წლის მანძილზე გრძელდება, საქართველოს ყველა სკოლა ჩაება. რაიონულ ტურნირებში უძლიერესნი რესპუბლიკური ფინალური ასპარეზობის საგზურებს იღებდნენ. წლევანდელ 16 უძლიერესი შეირჩა, რომელთა შორის შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებული გორის მე-6 საშუალო სკოლის გუნდიც იყო. მას ჩემპიონის ტიტული უნდა დაეცვა თბილისის მე-11 და 72-ე, ქუთაისის მე-7, ბათუმის მე-5, რუსთავის მე-11, ფოთის მე-7, ზესტაფონის მე-3, თელავის მე-6, ოჩამჩირის მე-5, ლაგოდეხის და დუშეთის რუსული, ვალეს მე-2 (ახალციხის რაიონი), ერკეთისა (ჩოხატაურის რაიონი) და კარალეთის (გორის რაიონი) საშუალო სკოლების, ქურთის (ცხინვალის რაიონი) საბავშვო სახლის წარმომადგენლებთან, აგრეთვე სტუმრებთან — ერევნელ ნორჩ არმიელებთან.

საუკეთესოდ იმ კოლექტივს აღიარებდნენ, რომელიც ასპარეზობის 4 დღის მანძილზე საბჭოთა არმიელების დამახასიათებელ თვისებებს ყველაზე უკეთ გამოავლენდა: თავს ისახელებდა დაზვერვაში, იერიშში, საჰაერო ბრძოლაში, სასწრაფო დახმარებაში, ტურისტულ მრავალჭიდში...

ცისკრელთა მეოთხე ჩემპიონატი თბილისში დაიწყო. სტუმარ-მასპინძელთა კოლონებმა ლენინის მოედანზე გვირგვინით შეამკეს ბელადის ძეგლი, შემდეგ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წინ ავტობუსებში ჩასხდნენ და თეთრი კარვების ქალაქისკენ გაემართნენ.

ქალაქი მოსულთ ზეიმით შეეგება, რაზმები დროშების გასწვრივ მწყობრად დგებიან. პიონერთა რესპუბლიკური ორგანიზაციის დროშის შემოტანის შემდეგ „ცისკრის“ რესპუბლიკური შტაბის უფროსი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ი. იურპოლსკი პატაკს იბარებს.

სიტყვას ამბობს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, რომელიც შეკრებილთ მაღალი შედეგების მოპოვებას უსურვებს.

გორის მე-6 სკოლის ნორჩ არმიელთა რაზმმა „ცისკრის“ ფინალური ასპარეზობის ალამი აღმართა. დაიწყო სამწყობრო მომზადებისა და სამწყობრო სიმღერების დათვალიერება. მტკიცედ მოაბიჯებენ საგანგებო ფორმაში გამოწყობილი პიონერ-მოსწავლეები, გუგუნებს ორკესტრი.

შეჯიბრების მონაწილეებმა საბრძოლო ტექნიკის გაცნობის შემდეგ კარვების წინ გამოფინეს სტენდები, რომლებიც მათს სამხედრო ცხოვრებაზე მოგვითხრობდნენ, გამოქვეყნდა საველე გაზეთები.

მეორე დღე საპარაშუტო სპორტის ცნობილ ოსტატთა გამოსვლებით, მათთან შეხვედრებით დაიწყო, გაიმართა მსროლელთა ასპარეზობა, მზვერავთა და სანიტარულ საგუშაგოთა ოსტატობის დათვალიერება, შეჯიბრება აზიმუტის დახმარებით მოცემული პუნქტების მიგნებაში.

ნორჩებისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 22 ივნისის განთიადი. დილის 5 საათზე ბანაკი სასწავლო განგაშმა წამოშალა. ნორჩ არმიელებს გონიერულად, სწრაფად, წყნარად და უშეცდომოდ უნდა ემოქმედნათ. სწორედ ისე, როგორც ზუსტად 29 წლის წინათ, როცა ფაშისტური გერმანია თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას.

საინტერესო ასპარეზობა გაიმართა ტურისტულ მრავალჭიდში, რომლის პროგრამაში იყო საჭიდე ტომრის დაკეცვა, წინაღობათა ზოლის გადალახვა, ხელყუმბარის ტყორცნა, მავთულხლართების ქვეშ გაძრომა...

ბოლოს მოეწყო რაზმების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება, მტრის თავდასხმის მოგერიება, იერიში, განსაზღვრული პუნქტების „ბრძოლით“ აღება...

ფინალური შეჯიბრების ყველა მონაწილემ კარგი ცოდნა გამოავლინა. ზოგმა სროლაში იმარჯვა, ზოგმა დაზვერვაში, სანიტარული ჯგუფების მუშაობაში, მაგრამ საერთო ჯამში ყველას ისევ გორის მე-6 სკოლის კოლექტივმა აჯობა და მთავარი პრიზიც მან შეინარჩუნა.

**რ. მაღრაძე.**

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ნორჩებს ესაუბრება საპარაშუტო სპორტის ცნობილი ოსტატი მსოფლიოს რეკორდსმენი ლ. ბუბონი (ცენტრში). მარჯვნივ — გორის მე-6 სკოლის გუნდი სამოქალაქო თავდაცვაში ასპარეზობისას.

ა. კავკასიძის ფოტო.

# მხიარული დელფინის მასობრივი სტარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიან სპორტულ კალენდარში, რომელიც ცურვის საკავშირო ფედერაციამ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ შეიმუშავა, ტურნირების სიმრავლით „მხიარული დელფინი“ ყველაზე თვალსაჩინო ღონისძიებაა. მისი გზა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებიდან საკავშირო დაუსწრებელ პირველობამდე გრძელდება. თავის დროზე „მხიარული დელფინის“ ბილიკები გაიარეს ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მოცურავეებმაც. თბილისელ მოცურავეთა წლევანდელი ფინალური პირველობა, რომელიც ახლახან გაიმართა, ამ ავტორიტეტული ღონისძიების ბოლოსწინა ეტაპი იყო. სწორედ აქ ცალკეულ დისტანციებზე უნდა გამოვლენილიყო ის 6 უძლიერესი, რომელთა შედეგებიც ცურვის საკავშირო ფედერაციაში იგზავნება გამარჯვებულთა გამოსავლენად. ქალაქის პირველობის საგზურისთვის შიდასაკოლექტივო შესარჩევ შეჯიბრებებში 450-მდე მოზარდი (1958-59 და 1960-61 წ.წ. დაბადებულნი) ჩაება. ცურვის საქალაქო ფედერაციამ ასაკის მიხედვით ცალკეულ სახეობაში 12-12 საუკეთესო სპორტსმენს მისცა ფინალის ვიზა.

საკავშირო დებულებით, პირველობა 25-მეტრიან აუზში უნდა ჩატარებულიყო. სწორედ იმ დღეებში მწყობრში ჩადგა თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის 25-მეტრიანი საცურაო აუზი და საასპარეზოდაც ის აირჩიეს.

ქებას იმსახურებენ ახლო წარსულში ცნობილი მოცურავის, ამჟამად „განთიადის“ ცურვის სპეციალიზებული სპორტსკოლის მწვრთნელის გ. კორბუკოვის აღსაზრდელები. I ეტაპზე მათგან ორმა გაიმარჯვა, ფინალურ ასპარეზობაში კი ფინიშთან კორბუკოვის ხუთი მოწაფე მივიდა პირველი.

უმცროსი ასაკის გოგონათა ტურნირში ლოკომოტიველებმა მოუგეს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ლოკომოტივში“ ცურვას განსაკუთრებით მას შემდეგ მიექცა ყურადღება, რაც ორთაჭალის აუზი ამ საზოგადოებას გადაეცა.

ფინალურ ტურნირში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „განთიადის“, თბილისის განათლების განყოფილებისა და „ლოკომოტივის“ მოცურავეები, სხვებმა შეჯიბრებას თავი აარიდეს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამომ“ — 237, II ადგილზეა „განთიადი“ — 116, III — თბილისის განათლების განყოფილება — 49 ქულა. რკინიგზელებმა 38 ქულა მოაგროვეს.

**თ. ბაჩეჩილაძე.**

* * *

**გთავაზობთ სამეულთა ტექნიკურ შედეგებს:** თავისუფალი სტილი. **100 მ. 9-10 წლის გოგონები.** მ. ნათლიაშვილი — 1.37,2, ნ. კიურჩიბაშევა (ორივე — „დინამო“) — 1.37,4, ი. გლოტოვა („განთიადი“) — 1.37,6; **ბიჭები.** ი. ივლევი („განთიადი“) — 1.25,7, გ. კენჭაძე („დინამო“) — 1.26,9, ა. სოკოლოვი („განთიადი“) — 1.27,8. **200 მ. 11-12 წლის გოგონები.** მ. კირდიანოვა — 2.58,4, ლ. შუტოვა—3.00.2, ნ. მატიუშკინა (ყველა — „დინამო“) — 3.01,9; **ბიჭები.** ი. ოვსიანიკოვი (განათლების განყოფილება) — 2.51,8, ა. მაქსიმტაიტუსი — 2.52,0, ზ. ქოიავა (ორივე — „დინამო“) — 2.52,8. **გულაღმა ცურვა. 100 მ. 9-10 წლის გოგონები.** ი. პროსკურინა („ლოკომოტივი“) — 1.42,3, ლ. შერგელაშვილი — 1.44,5, თ. ლაშქარაშვილი (ორივე — „დინამო“) — 1.48,7; **ბიჭები.** ივლევი („განთიადი“) — 1.34,5, კენჭაძე — 1.36,5, სოკოლოვი — 1.38,6. **200 მ. 11-12 წლის გოგონები.** ლ. აკოფაშვილი („განთიადი“) — 3.13,5, ნ. მგელაძე — 3.18,8, მ. ხუბულაშვილი (ორივე — „დინამო“) — 3.21.7; **ბიჭები.** ვ. საი — 3.00,3, ი. ნახუცრიშვილი — 3.03,0, ვ. მარქაროვი (ყველა — „დინამო“) — 3.04,7. **ბრასი. 100 მ. 9-10 წლის გოგონები.** ა. პურსანოვა („განთიადი“) — 1.47,5, ლაშქარაშვილი — 1.48,8, ა. იაღლოვა („განთიადი“)—1.50,5; **ბიჭები.** ვ. ზალდასტანიშვილი (განათლების განყოფილება) — 1.44,5, კენჭაძე — 1.45,6, დ. ფასურიშვილი („დინამო“) — 1.47,2. **200 მ. 11-12 წლის გოგონები.** კირდიანოვა — 3.10,8, ე. იკონომოვა — 3.27,7, მ. გამზინა (ორივე—„განთიადი“) — 3.27,8; **ბიჭები.** დ. ელიზბარაშვილი — 3.12,2, ვ. ლუგინი (ორივე — „დინამო“) — 3.19,4, ი. კუზინი (განათლების განყოფილება) — 3.20.9. **ბატერფლაით 100 მ. 9-10 წლის გოგონები.** ნ. სუქიაშვილი („განთიადი“)—1.55,2, პროსკურინა — 2.00,9. ტ. ხრიპკო („ლოკომოტივი“) — 2.02,1; **ბიჭები.** კენჭაძე — 1.36,0, ს. პონომარიოვი („დინამო“) — 1.39.8. ივლევი — 1.53,3. **200 მ. 11-12 წლის გოგონები.** ო. ვლასოვა („განთიადი“) — 3.46,3, გ. იოაკიმიდი — 3.47,4. ნ. მატიუშკინა (ორივე — „დინამო“) — 4.00.2: **ბიჭები.** ე. შაიდულოვი (განათლების განყოფილება) — 2.48,1, მ. გამყრელიძე („დინამო“) — 3.27,5, ვ. სულთანიშვილი („განთიადი“) — 3.29,9. **კომპლექსური ცურვა. 200 მ. 9-10 წლის გოგონები.** ნათლიაშვილი — 3.41,1, პროსკურინა — 3.45.4, სუქიაშვილი — 3.46,1; **ბიჭები.** კენჭაძე — 3.23,0, ი. ჩხიკვაძე („დინამო“) — 3.27,0, პონომარიოვი — 3.27,2, **400 მ. 11-12 წლის გოგონები.** კირდიანოვა — 6.36,5, აკოფაშვილი — 7.02,8, ვლასოვა — 7.02.9; **ბიჭები.** შაიდულოვი — 6.03,4, სულთანიშვილი — 6.45,6, საი — 6.48,2.

# კოლექტივის სული და გული

აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის 11 სახეობა შევიდა. ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს „კოლმეურნის“ გულრიფშის რაისაბჭოს წარმომადგენლებმა. II ადგილი დაიკავეს კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა, მოშაშეებმა, III — ძალოსნებმა. გუნდის მთავარ ბირთვს ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის წევრები შეადგენენ.

...მეურნეობის დირექტორი კ. გურია უთენია დგება. მოუსვენარი კაცია. საკუთარი თვალით უნდა ნახოს, როგორ მოაწყვეს გათბობა ბავშვთა ბაგებში, როგორ მიმდინარეობს რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, როგორ მუშაობენ პლანტაციებში. იგი ყველგან ასწრებს მისვლას. ახლა საბჭოთა მეურნეობის მოსახლეობა 1000 კაცს შეადგენს და დირექტორი თითქმის ყველა მათგანს იცნობს. მაღაზია, სასადილო, აბანო, კულტურის სახლი, სტადიონი — ეს ყველაფერი სწორედ დირექტორის თაოსნობით აშენდა.

...რამდენიმე წლის წინ ამ სტადიონის ადგილზე ერთი სწორი მინდორი იყო, სადაც მარტო ფეხშიშველი პატარა ბიჭები დარბოდნენ. ახლა იგი ფეხბურთელთა სარბიელად იქცა და რუსეთის ფედერაციის გუნდებიც ჩამოდიან სავარჯიშოდ. მაგრამ დირექტორი კმაყოფილი მაინც არ არის. ამბობს, ამ სტადიონზე აუცილებლად უნდა მოვაწყოთ სარბენი ბილიკები და გასახდელებიო.

კ. გურია ფიზკულტურელთა სული და გულია. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ის პირველი საბჭოთა მეურნეობის დირექტორია აფხაზეთში, რომელიც „სსრ კავშირის ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნითაა დაჯილდოებული. საქმე კი დირექტორს უამრავი აქვს — იგი ხომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მთავარ საქმედ მას სწორედ ხალხთან ურთიერთობა, მათი ლხინისა და ჭირის გაზიარება მიაჩნია. ფიზკულტურის განვითარებისთვის ბრძოლა, ფიზკულტურელებისთვის ხელის შეწყობა დირექტორის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. მისი მეურნეობის სპორტსმენებმა პირველად ამ ათი წლის წინ გამოიჩინეს თავი, როცა ფეხბურთელებმა აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა შორის უძლიერესების სახელი დაისაკუთრეს. შემდეგ წარმატება მოიპოვეს მძლეოსნებმა, კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა. მუდამ პრიზიორთა სამეულებში ხვდებოდნენ მოჭიდავეებიც.

გიამბობთ ერთ ენთუზიასტზე: ი. შარია მძლეოსნობამ გაიტაცა და მიაღწია კიდეც საწადელს. 1966 წელს იგი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში მოხვდა. 100 მეტრზე რბენაში 11.0 ურიგო შედეგი როდია. შემდეგ შარიამ თავის ამხანაგებსაც შეაყვარა მძლეოსნობა. ისინი მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ სოფლის სპორტსმენთა კროსში. ახლა შარია კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეა. ასე იზრდება და ოსტატდება საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდობა.

შარშან მეურნეობაში რამდენიმე შეჯიბრება ჩატარდა: ფრენბურთში, ფეხბურთში, კროსში, ლელოში.

სხვათა შორის, ლელოს მოთამაშეთა გუნდი მეურნეობაში 1967 წელს ჩამოყალიბდა და მაშინვე აფხაზეთში უძლიერესის სახელი მოიპოვა. ახლა გ. სანია, ს. შარია, ა. ლევიცკი და სხვები საქართველოს პირველობისთვის ემზადებიან.

მეურნეობაში მუშაობს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, სროლის სექციები.

სხვა რომელი მეურნეობა დაიკვეხნის, რომ ცხრა სპორტის ოსტატი ჰყავს? დავასახელოთ ამ ცხრიდან რამდენიმე. მაგალითად, ველოსიპედისტი ე. დემჩუკი, ფრენბურთელი თ. არჯევანიძე.

კოლექტივში 370 ფიზკულტურელია. შარშან მომზადდა 8 პირველთანრიგოსანი (ლელოში), 63 მეორე და მესამე თანრიგების სპორტსმენები.

გულრიფშელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მეურნეობის სპორტული რაზმის დამაარსებელს, ამჟამად „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს ა. უჩანეიშვილს. მეც სწორედ მისი წყალობით გავეცანი ამ კარგ ფიზკულტურულ კოლექტივს.

**ვ. ბუკინი,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

გულრიფში.

# ცნობა კახიდან

აზერბაიჯანის კახის რაიონის მძლეოსანთა შეჯიბრებაში თავი ისახელეს კახის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ნ. პაპიაშვილმა, ე. დარეჯანაშვილმა, მადონა და მილია ფოლადაშვილებმა. მათ ესტაფეტაში (4×100) პირველობა არავის დაუთმეს. გამარჯვებულები სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**იასონ ჭაჭაშვილი.**

# ჩემპიონების შესაფერისად

ქუთაისში გაიმართა სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება რადიოსპორტში. ბრძოლაში თბილისის, აჭარის, ქუთაისისა და ფოთის გუნდები ჩაებნენ.

რადიოგრამების მიღება-გადაცემაში ყველას აჯობა სსრ კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა მ. სადუკოვმა, რომელმაც წუთში 160 ასონიშანი და 200 ციფრნიშანი მიიღო. მანვე 128,16 ასონიშანი და 96,15 ციფრნიშანი გადასცა. საბოლოოდ სადუკოვმა 572,31 ქულა დაიმსახურა. მას უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ ძლიერი მეტოქეები არ ჰყავდა და მთელი ძალით არ მუშაობდა. II ადგილზე გასულმა ა. ბოგატოვმა (აჭარა) საბოლოოდ 222,84 ქულა ძლივს მოაგროვა.

ქალთა შეჯიბრებაშიც თბილისელმა სპორტსმენმა იმარჯვა. გოგონათა შორის საკავშირო ჩემპიონმა ნ. შველიოვამ, რომელიც საბეჭდი მანქანით პირველად გამოდიოდა, წუთში 120 ასონიშანი და 150 ციფრნიშანი ჩაწერა, ელექტროგასაღებით კი შესაბამისად 135,12 და 95 ნიშანი გადასცა, რისთვისაც 430,37 ქულა დაიმსახურა.

ჭაბუკთა ტურნირში ყველას აჯობა პირველთანრიგოსანმა შ. ირემაშვილმა (თბილისი). მან 150 ასონიშანი და ამდენივე ციფრნიშანი მიიღო, გადაცემაშიც კარგი მაჩვენებლები (136,32 და 101,35) მოიპოვა, საბოლოოდ 510 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის დოსააფის ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტში სათანადოდ არ ზრუნავენ რადიოსპორტის განვითარებისთვის. ამიტომაც იყო მონაწილე გუნდების რიცხვი ასე მცირე. განსაკუთრებით გასაკვირია აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის დოსააფის ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულება ტურნირისადმი.

**დოდო გელაშვილი.**

# საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

● „იმერეთი" (თერჯოლა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. ბოლოხიანი (სოხუმი).

● „ცისკარი" (სიღნაღი) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

სიღნაღელები ბოლო ტურებში რამდენჯერმე დამარცხდნენ. გუნდმა გადაწყვიტა თავისი გულშემატკივრებისთვის ამჯერად მაინც ეჩვენებინა კარგი თამაში. უკვე შეხვედრის დასაწყისშივე არმიელთა კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ტაიმმა განვლო ისე, რომ გოლის გატანა არ მოხერხდა. „ცისკარმა" მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლო მოწინააღმდეგის კარის აღება. ეს გადამწყვეტი გოლი გაიტანა ხიზანიშვილმა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ პირველივე წუთებიდან და გორელ ფეხბურთელებს ძირითადად დაცვისთვის მოუხდათ ზრუნვა. ანგარიში გაიხსნა მე-19 წუთზე, როცა ტოგონიძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა „ქართლის" ერთ-ერთ მცველს და კარში გავიდა. მართალია, ტაიმის დასასრულისთვის გორელმა ბუზალაძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, შემდგომში უპირატესობა კვლავ მეტალურგებს ჰქონდათ. ტოგონიძისა და ჭიჭინაძის ზუსტი დარტყმების შემდეგ „მეტალურგმა" დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 0:2. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

მატჩის ბედი გადაწყდა მეორე ტაიმში, როცა წულუკიძელები ინიციატივას დაეუფლნენ და ძლიერი იერიშები წარმართეს მეტოქის კარისკენ. ჯანელიძემ და სანოძემ 2 უპასუხო ბურთი გაიტანეს „ვარკეთილის" კარში.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 5:2. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

● „სქური" (წალენჯიხა) — „სამცხე" (აწყური) 2:1. მსაჯი გ. ხართანია (ზუგდიდი).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

გათამაშების ლიდერთა შორის მყოფი გუნდების შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებელთა შორის. უნდა ითქვას, მატჩი სავსებით შეეფარდებოდა თავის მნიშვნელობას. მიმდინარეობდა მე-5 წუთი, როცა ქაჩიბაიამ სამტრედიელთა კართან შექმნილ არეულობაში მოასწრო ბურთის ბადეში გაგზავნა. გავიდა ათიოდე წუთი და ხაჟალიას მიერ მოწოდებულ ბურთს დროზე მიუსწრო კალაძემ — 1:1. განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ცხაკაიელებმა შეხვედრის მეორე ნახევარი, თუმცა რკინიგზელებიც ხშირად ახორციელებდნენ მწვავე კონტრშეტევებს. ქაჩიბაიამ და ნიკოლეიშვილმა შეძლეს 2 ბურთის გატანა და „ეგრისმა" გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

● „სინათლე" (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 4:0. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ თავიანთი მეკარის შეცდომა ახალციხელებს პირველ გოლად დაუჯდათ. მეორე ტაიმში თბილისელები მტკიცედ დაეუფლნენ მინდორს. სიმონიშვილმა, პეტრიაშვილმა და ლორიამ კიდევ 3 ბურთი გაიტანეს „მესხეთის" კარში.

● „გიგანტი" (ლაითური) — „მზიური" (გალი) 2:2. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „მაღაროელი" (ჭიათურა — „ისანი" (თბილისი) 1:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

**II ჯგუფი, I ზონა.**

„შირაქი" (წითელი წყარო) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:2, „შევარდენი" (თბილისი) — „სპარტაკი" (რუსთავი) 2:0, „გარეჯი" (საგარეჯო) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 5:2, „არაგვი" (მცხეთა) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:3, „გარისი" (თეთრი წყარო) — „მევენახე" (ბოლნისი) 0:0. ახალქალაქის „აბულს" გამარჯვება ჩაეთვალა ახმეტის „ბახტრიონთან" შეხვედრაში.

II ზონა. „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 3:1. „ივერია" (ხაშური) — „მექანიკოსი" (სამტრედია) 2:1, „დინამო" (ქუთაისი) — „სამეგრელო" (ზუგდიდი) 1:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „ქოროხი" (ბათუმი) 2:1.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 22 | 14 | 5 | 3 | 44—25 | 33 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 23 | 12 | 7 | 4 | 52—21 | 31 |
| „სქური" წალენჯიხა | 22 | 11 | 8 | 3 | 31—15 | 30 |
| „ეგრისი" ცხაკაია | 23 | 12 | 6 | 5 | 37—22 | 30 |
| „ფიზკულტურის" ინსტიტუტი | 23 | 10 | 10 | 3 | 35—20 | 30 |
| „ისანი" თბილისი | 23 | 8 | 13 | 2 | 23—16 | 29 |
| „ფეიქარი" წულუკიძე | 23 | 11 | 7 | 5 | 32—31 | 29 |
| „სინათლე" თბილისი | 23 | 10 | 7 | 6 | 37—25 | 27 |
| „სალხინო" გეგეჭკორი | 23 | 9 | 9 | 5 | 33—22 | 27 |
| „მზიური" გალი | 23 | 7 | 12 | 4 | 27—21 | 26 |
| „სამცხე" აწყური | 22 | 7 | 11 | 4 | 21—20 | 25 |
| „ქართლი" გორის რა-ნი | 23 | 6 | 10 | 7 | 27—30 | 22 |
| „ვარკეთილი" გარდაბანი | 22 | 4 | 10 | 8 | 23—27 | 18 |
| „გიგანტი" ლაითური | 23 | 4 | 10 | 9 | 20—36 | 18 |
| „იმერეთი" თერჯოლა | 21 | 4 | 9 | 8 | 24—26 | 17 |
| „ცისკარი" სიღნაღი | 23 | 4 | 9 | 10 | 14—23 | 17 |
| ასკ თბილისი | 23 | 6 | 5 | 12 | 21—31 | 17 |
| „ენგური" ზუგდიდი | 22 | 5 | 7 | 10 | 17—28 | 17 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 23 | 3 | 11 | 9 | 20—39 | 17 |
| „მაღაროელი" ჭიათურა | 23 | 4 | 7 | 12 | 29—42 | 15 |
| „მშენებელი" ბორჯომი | 22 | 3 | 6 | 13 | 18—33 | 12 |
| „მესხეთი" ახალციხე | 23 | 3 | 5 | 15 | 20—52 | 11 |

# თასს დაეუფლნენ

წარმატებით ითამაშეს თბილისის კალინინის სახელობის რაიონის თასის გათამაშებაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ფეხბურთელებმა. გათამაშების ფინალურ მატჩში მათი მოწინააღმდეგე იყო ქალაქის სატელეფონო ქსელის სამმართველოს კოლექტივი.

ამ გუნდების გადამწყვეტი შეხვედრა შედგა ოქროყანის ახალ სტადიონზე და დამთავრდა გამომცემლობის ფეხბურთელთა სასარგებლოდ — 4:2. გამარჯვებულებს გადაეცათ რაიონის თასი.

ლ. ხუციშვილი.



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ა. გალკინი, ი. ნატროშვილი, ს. გვაზავა, ნ. მანუკიანი, ა. მალაციძე, გ. შენგელია, ვ. ყელიგრეხაშვილი; დგანან — ე. ქელბაქიანი (გუნდის უფროსი), ნ. გოცაძე, ვ. გასანოვი, თ. მამფორია, ე. ჩატოევი, ე. ინწკირველი, თ. კინწურაშვილი, გ. შაქარაშვილი, ვ. თეთრუაშვილი, თ. ინწკირველი (გუნდის მწვრთნელი).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის პირველობა

# ივლისის კალენდარი




### უმაღლესი ჯგუფი — „ა" კლასი

2. „დინამო" მ. — „დინამო" კ., „ნევთჩი" — „დინამო" თბ., „ზენიტი" — „შახტიორი", ასკ რ. — „ზარია", „ჩერნომორეცი" — „დინამო" მნ., „ტორპედო" ქ. — „არარატი", „სპარტაკი" ორ. — „ფახთაქორი".

6. „დინამო" თბ. — ცსკა, „ტორპედო" მ. — „დინამო" კ., „ნევთჩი" — „არარატი", „შახტიორი" — „სპარტაკი" ორ., „ზარია" — „სპარტაკი" მ., ასკ რ. — „დინამო" მ., „დინამო" მნ. — „ზენიტი", „ფახთაქორი" — „ტორპედო" ქ.

12. „ტორპედო" მ. — ცსკა.

13. „სპარტაკი" მ.—„დინამო" მ., „დინამო" კ. — „არარატი", „დინამო" თბ. — „ჩერნომორეცი", „ზენიტი" — ასკ რ., „შახტიორი" — „ტორპედო" ქ., „ზარია" — „ფახთაქორი", „დინამო" მნ. — „სპარტაკი" ორ.

19. „დინამო" მ. — ცსკა.

20. „სპარტაკი" მ. — „ტორპედო" მ., „დინამო" კ. — „ნევთჩი", „ზენიტი" — „ტორპედო" ქ., ასკ რ. — „ფახთაქორი", „დინამო" მნ. — „შახტიორი", „არარატი" — „დინამო" თბ., „სპარტაკი" ორ. — „ჩერნომორეცი".

25. სსრ კავშირის თასის ნახევარფინალი.

29. ასკ რ. — „დინამო" კ., „დინამო" მ. — „ზენიტი", „ნევთჩი" — „ფახთაქორი", „ჩერნომორეცი" — „ტორპედო" მ., „ზარია" — „შახტიორი", „დინამო" მნ. — „სპარტაკი" მ., „ტორპედო" ქ. — ცსკა, „სპარტაკი" ორ. — „არარატი".

### I ჯგუფი — „ა" კლასი

3. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „პამირი" (დუშანბე), „კარპატი" (ლვოვი) — „ალგა" (ფრუნზე), „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „სტროიტელი" (აშხაბადი), „ლოკომოტივი" (თბილისი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი), „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო), „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), ასკ (კიევი) — „ყაირათი" (ალმაათა), „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — ასკ (ხაბაროვსკი), „დაუგავა" (რიგა) — „შახტიორი" (დონეცკი), „დინამო" (ლენინგრადი) — „რუბინი" (ყაზანი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ვოლგარი" (ასტრახანი).

7. „დნეპრი" — „ალგა", „კარპატი" — „სტროიტელი", „მოლდოვა" — „პამირი", „ლოკომოტივი" თბ. — „ტექსტილშჩიკი", „ყუბანი" — „ლოკომოტივი" მ., „მეტალისტი" — „კრ. სოვეტოვი", ასკ კ. — ასკ ხ., „ჟალგირისი" — „შახტიორი", „დაუგავა" — „ყაირათი", „რუბინი" — „ვოლგარი", „ურალმაში" — „დინამო" ლ.

11. „დნეპრი" — „სტროიტელი", „კარპატი" — „პამირი", „მოლდოვა" — „ალგა", „ლოკომოტივი" თბ. — „ლოკომოტივი" მ., „ყუბანი" — „კრ. სოვეტოვი", „მეტალისტი" — „ტექსტილშჩიკი", ასკ კ. — „შახტიორი", „ჟალგირისი" — „ყაირათი", „დაუგავა" — ასკ ხ., „დინამო" ლ. — „ვოლგარი", „რუბინი" — „ურალმაში".

17. „სტროიტელი" — „ალგა", „კრ. სოვეტოვი" — „მოლდოვა", „ტექსტილშჩიკი" — „დნეპრი", „ლოკომოტივი" მ. — „კარპატი", ასკ ხ. — „ყუბანი", „ყაირათი" — „ლოკომოტივი" თბ., „შახტიორი" — „მეტალისტი", „დინამო" ლ.— „დაუგავა", „რუბინი" — ასკ კ., „ურალმაში"—„ჟალგირისი", „ვოლგარი" — „პამირი".

21. „პამირი" — „სტროიტელი", „კრ. სოვეტოვი" — „დნეპრი", „ტექსტილშჩიკი" — „კარპატი", „ლოკომოტივი" მ. — „მოლდოვა", ასკ ხ. — „მეტალისტი", „ყაირათი" — „ყუბანი", „შახტიორი" — „ლოკომოტივი" თბ., „დინამო" ლ. — ასკ კ., „რუბინი" — „ჟალგირისი", „ურალმაში" — „დაუგავა", „ვოლგარი" — „ალგა".

25. „სტროიტელი" — „ვოლგარი", „ალგა" — „პამირი", „კრ. სოვეტოვი" — „კარპატი", „ტექსტილშჩიკი" — „მოლდოვა", „ლოკომოტივი" მ. — „დნეპრი", ასკ ხ. — „ლოკომოტივი" თბ., „ყაირათი" — „მეტალისტი", „შახტიორი" — „ყუბანი", „დინამო" ლ. — „ჟალგირისი", „რუბინი" — „დაუგავა", „ურალმაში" — ასკ კ.

### II ჯგუფი — „ა" კლასი

რსფსრ-ს II ზონა

3. „დინამო" (მახაჩყალა) — „ტრუდი" (ვორონეჟი), „ფოლადი" (სუმგაითი) — „სალუტი" (ბელგოროდი), „დინამო" (კიროვაბადი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი), „სტალი" (ვოლგოგრადი) — „შინიკი" (იაროსლავლი), „დინამო" (სტავროპოლი) — „სატურნი" (რიბინსკი), „ტორპედო" (ტაგანროგი) — „ვოლგა" (კალინინი), „ლოკომოტივი" (კალუგა) — „ვოლგა" (გორკი), „დინამო" (ბრიანსკი) — „მეტალურგი" (ტულა), „დრუჟბა" (მაიკოპი) — „დინამო" (ბათუმი), „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „შირაკი" (ლენინაკანი), „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „დილა" (გორი).

7. „დინამო" მხ. — „მეტალურგი" ლპ., „ფოლადი" — [illegible], „დინამო" კრ. — „სალუტი", „სტალი" — „სატურნი", „დინამო" სტ. — „ვოლგა" კლ., „ტორპედო" — „შინიკი", „დრუჟბა" — „დილა", „მაშუკი" — „დინამო" ბთ., „ავტომობილისტი" — „შირაკი", „დინამო" ბრ. — „ვოლგა" გ., „მეტალურგი" ტლ. — „ლოკომოტივი".

11. „დინამო" მხ. — „სალუტი", „ფოლადი" — „მეტალურგი" ლპ., „დინამო" კრ. — „ტრუდი", „სტალი" — „ვოლგა" კლ., „დინამო" სტ. — „შინიკი", „ტორპედო" — „სატურნი", „დრუჟბა" — „შირაკი"; „მაშუკი" — „დილა", „ავტომობილისტი"—„დინამო" ბთ., „ლოკომოტივი" — „დინამო" ბრ., „მეტალურგი" ტლ. — „ვოლგა" გ.

17. „ლოკომოტივი" — „ტორპედო", „დინამო" ბრ. — „დინამო" სტ., „მეტალურგი" ტლ. — „სტალი", „ვოლგა" კლ. — „დინამო" კრ., „შინიკი" — „დინამო" მხ., „სატურნი" — „ფოლადი", „ტრუდი" — „დრუჟბა", „მეტალურგი" ლპ., — „ავტომობილისტი", „სალუტი" — „მაშუკი", „დილა" — „შირაკი", „ვოლგა" გ. — „დინამო" ბთ.

21. „ლოკომოტივი" — „დინამო" სტ., „დინამო" ბრ. — „სტალი", „მეტალურგი" ტლ. — „ტორპედო", „ვოლგა" კლ. — „ფოლადი", „შინიკი" — „დინამო" კრ., „სატურნი"—„დინამო" მხ., „ტრუდი" — „მაშუკი", „მეტალურგი" ლპ. — „დრუჟბა", „სალუტი" — „ავტომობილისტი", „შირაკი" — „დინამო" ბთ., „ვოლგა" გ. — „დილა".

25. „ლოკომოტივი" — „სტალი", „დინამო" ბრ. — „ტორპედო", „მეტალურგი" ტლ. — „დინამო" სტ., „ვოლგა" კლ. — „დინამო" მხ., „შინიკი" — „ფოლადი", „სატურნი" — „დინამო" კრ., „ტრუდი" — „ავტომობილისტი", „მეტალურგი" ლპ. — „მაშუკი", „სალუტი" — „დრუჟბა", „დინამო" ბთ. — „დილა", „ვოლგა" გ. — „შირაკი".

### „ბ" კლასი

რსფსრ-ს II ზონა
I ქვეჯგუფი

4. „კოლხეთი" (ფოთი) — „მეტალურგი" (რუსთავი), „მერცხალი" (მახარაძე) — „ალაზანი" (გურჯაანი), „გურია" (ლანჩხუთი) — „კახეთი" (თელავი), „მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (რიაზანი), „სპარტაკი" (ცხინვალი) — „სპარტაკი" (სარანსკი), „სულორი" (ვანი) — „სპარტაკი" (ტამბოვი), „ტორპედო" (ვისკი) — „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი), „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „მეტალურგი" (კრასნი სულინი), „დინამო" (სოხუმი) — „ორბიტა" (ბელაია კალიტვა).

8. „კოლხეთი" — „კახეთი, „მერცხალი"—„მეტალურგი" რ. „გურია" — „ალაზანი", „მეშახტე" — „სპარტაკი" ტმ. „სპარტაკი" ცხ. — „სპარტაკი" რზ., „სულორი" — „სპარტაკი" სრ., „ტორპედო" — „ორბიტა", „ცემენტი" — „პროგრესი", „დინამო" სხ. — „მეტალურგი" კს.

12. „კოლხეთი" — „ალაზანი", „მერცხალი" — „კახეთი", „გურია" — „მეტალურგი" რ., „მეშახტე" — „სპარტაკი" სრ., „სპარტაკი" ცხ.— „სპარტაკი" ტმ., „სულორი" — „სპარტაკი" რზ., „ტორპედო" — „მეტალურგი" კს., „ცემენტი" — „ორბიტა", „დინამო" სხ. — „პროგრესი".

18. „მეტალურგი" რ. — „ტორპედო", „კახეთი" — „დინამო" სხ., „ალაზანი" — „ცემენტი", „პროგრესი" — „მეშახტე", „ორბიტა" — „სულორი", „მეტალურგი" კს. — „სპარტაკი" ცხ., „სპარტაკი" რზ. — „კოლხეთი", „სპარტაკი" ტმ. — „გურია", „სპარტაკი" სრ. — „მერცხალი".

22. „მეტალურგი" რ. — „ცემენტი", „კახეთი" — „ტორპედო", „ალაზანი" — „დინამო" სხ., „პროგრესი" — „სპარტაკი" ცხ., „ორბიტა" — „მეშახტე", „მეტალურგი" კს. — „სულორი", „სპარტაკი" რზ. — „მერცხალი", „სპარტაკი" ტმ. — „კოლხეთი", „სპარტაკი" სრ. — „გურია".

26. „მეტალურგი" რ. — „დინამო" სხ., „კახეთი" — „ცემენტი", „ალაზანი" — „ტორპედო", „პროგრესი" — „სულორი", „ორბიტა" — „სპარტაკი" ცხ., „მეტალურგი" კს. — „მეშახტე", „სპარტაკი" რზ. — „გურია", „სპარტაკი" ტმ. — „მერცხალი", „სპარტაკი" სრ. — „კოლხეთი".

# დაძაბულ ბრძოლაში

წყალბურთში სპარტაკიადის ჩემპიონობისთვის თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის გუნდები იბრძოდნენ. პირველობა მოიპოვეს მასპინძლებმა, რომლებმაც თბილისის „ლოკომოტივის" აუზში სამივე შეხვედრა მოიგეს. განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა მათ ქუთაისელებთან ჰქონდათ. მეტოქის კარში გადამწყვეტი გოლი თბილისელებმა მეოთხე პერიოდში გაიტანეს — 4:3.

სამაგიეროდ, თბილისელმა მოსწავლეებმა აფხაზეთის კოლექტივთან შეხვედრაში იოლი გამარჯვება იზეიმეს — 10:2. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თ. სილაგაძემ, რომელმაც მეტოქეთა კარში 4 გოლი გაიტანა.

აჭარის წყალბურთელებმა დაამარცხეს აფხაზეთისა (6:2) და ქუთაისის (5:4) გუნდები. ამიტომ პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისისა და აჭარის წყალბურთელები. შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით (4:1) დამთავრდა.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ აფხაზეთისა და ქუთაისის კოლექტივები. ქუთაისელებმა დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 3:2. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის კაპიტანს გ. შარაშენიძეს, რომელიც სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირი იყო.

ტურნირმა ცხადყო, რომ მოსწავლე წყალბურთელთა გუნდები სათანადოდ ვერ არიან მომზადებული, მაგრამ ყველა კოლექტივში შეიძლება მოიძებნოს ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენები, რომელთაგან შედგენილი ნაკრები სათანადო ვარჯიშის შემდეგ საკავშირო ტურნირში წარმატებით გამოვა.

გ. ჩიქვანაია.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: აჭარისა და თბილისის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

# ერთი შეცდომა რომ არა

ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის პირადმა ჩემპიონატმა, რომელიც ამას წინათ საგარეჯოში ჩატარდა, თავი მოუყარა თბილისის, ყვარლის, ახმეტის, რუსთავის, დუშეთის, თელავის, გორისა და სხვა რაიონების უძლიერეს ფალავნებს. სულ ასპარეზობაში მონაწილეობდა 130 მოჭიდავე.

საინტერესო და დაძაბულმა ტურნირმა გამოავლინა საქართველოს ჩემპიონები ყველა 8 წონით კატეგორიაში. აი ისინიც: გ. ჯავახიშვილი (საგარეჯო), ა. ალხაზოვი (ყვარელი), ჰ. გოგილაშვილი (თბილისი), თ. ომაძე (გორი), რ. ყორღანაშვილი (საგარეჯო), ნ. ახალაური, ნ. ქელიხაშვილი (ორივე — თბილისი), ი. ელოშვილი (თელავი).

ჩვენ აქ არ შევუდგებით ცალკეულ მოჭიდავეთა დახასიათებას. არც ორთაბრძოლების შესახებ გვექნება საუბარი. ვიტყვი მხოლოდ ერთს: შეჯიბრება მაღალ ტექნიკურ დონეზე ჩატარდა და მან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა.

მკითხველთა ყურადღება მინდა შევაჩერო ერთ ლაფსუსზე, რომელიც მსაჯთა შეცდომის შედეგად წარმოიშვა და რომელმაც ჩრდილი მიაყენა სხვა მხრივ კარგ და სასარგებლო ტურნირს. მხედველობაში მაქვს მჩატე წონის წარმომადგენლების, თბილისელი დ. დორეულისა და ყვარლელი ა. ალხაზოვის ორთაბრძოლა. მსაჯთა ბრიგადამ არაობიექტურად შეაფასა ამ წყვილის შეხვედრის შედეგი და გამარჯვება მიაკუთვნა დორეულს, რამაც მას ტურნირში I ადგილი მოუტანა.

ქართული ჭიდაობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ მსაჯთა გადაწყვეტილება არასწორად მიიჩნია, დაარღვია შეხვედრის შედეგი და გამარჯვება, სავსებით სამართლიანად, ალხაზოვს მიაკუთვნა. იგი გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი მჩატე წონაში.

აქვე მინდა აღვნიშნო ყვარლის ფალავანთა მწვრთნელის, ქართული ჭიდაობის დიდი ენთუზიასტის რ. ლომსაძის კარგი და საქმიანი მუშაობა. იგი ახალგაზრდა მოჭიდავეთა დაოსტატებას საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს, მაგრამ თავდადებული შრომის შედეგად თავის აღსაზრდელებთან ერთად საკმაოდ მაღალ შედეგებს აღწევს. ლომსაძის საქმიანობა სასარგებლო მაგალითია სხვებისთვის.

და კიდევ ერთი შენიშვნა. ქართული ჭიდაობის მუდმივი თანამგზავრია მუსიკალური აკომპონიმენტი. სამწუხაროდ, ტურნირის ორგანიზატორებმა, ვერ შეძლეს ერთი მეზურნის მოწვევა და ბრძოლები ტარდებოდა აკორდეონის უჩვეულო მუსიკალური თანხლებით.

შ. ზუკაკიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# ქართული საჭადრაკო წიგნი

**მ. შიშოვი.** დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე. თბილისი. „ნაკადული". 1962 წ. 101 გვ. ილუსტრაციებით, პორტრეტით, 1 ცხრილით (გულშემატკივრის თანამგზავრი, № 4). 20.000 ეგზ.

ნ. გაფრინდაშვილის მწვრთნელის დღიური, რომელიც გვაცნობს მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირის მსვლელობას და შეჯიბრების რჩეულ პარტიებს. წიგნში შეტანილია, აგრეთვე, თ. გიორგაძის ნარკვევი „გამარჯვებული" (ნ. გაფრინდაშვილზე).

**თ. გიორგაძე.** გზა მწვერვალისკენ. თბილისი. „ნაკადული". 1963 წ. 134 გვ. ილუსტრაციებით, 1 პორტრეტით. 10.000 ეგზ. ნარკვევი ე. ბიკოვა — გაფრინდაშვილის მატჩის მსვლელობაზე.

**ნონა გაფრინდაშვილი — მსოფლიო ჩემპიონი.** თბილისი. გაზეთი „კომუნისტი". 1964 წ. 51 გვ. ილუსტრაციებით. 15.000 ეგზ.

ბიკოვა — გაფრინდაშვილის მატჩის მასალების კრებული. შეიცავს მატჩის დღიურს (ავტორი თ. გიორგაძე), ყველა პარტია გარჩეულია ოსტატების მიერ. კრებულში შეტანილია სტატიები მატჩზე და საქართველოში ჭადრაკის ისტორიაზე.

**თ. გიორგაძე.** თორმეტთა ტურნირი სოხუმში. თბილისი. „საბჭოთა საქართველო". 1965 წ. 104 გვ. ილუსტრაციებით („ლელოს" ბიბლიოთეკა № 2). 5.000 ეგზ.

საქართველოს ქალთა IV საერთაშორისო ტურნირის ტურების აღწერა და საუკეთესო პარტიები. შესავალში — ამ ტურნირების მოკლე ისტორია.

**თ. გიორგაძე.** დედოფალი არ შეცვლილა. თბილისი. „ნაკადული". 1966 წ. 87 გვ. 1 პორტრეტი. 10.000 ეგზ.

გაფრინდაშვილი — კუშნირის მატჩის დღიური. მოყვანილია მატჩის ყველა 13 პარტია დაწვრილებითი კომენტარებით, მოკლე ცნობები გაფრინდაშვილისა და კუშნირის სპორტულ მიღწევებზე.

**ჭადრაკის თამაშის თეორია**

**ვ. გოგლიძე** და **ჰ. კასპარიანი.** გამოჩენილი მოჭადრაკეების 100 კომბინაცია. თბილისი. 1948 წ. 44 გვ. (საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, სერია 7). 12.300 ეგზ.

კრებულში შეტანილია ანდერსენის, მორფის, სტეინიცის, ლასკერის, ჩიგორინის, კაპაბლანკას, ალიოხინის, ეივეს, ბოტვინიკისა და სმისლოვის კომბინაციები, ამოცანები და ეტიუდები, აგრეთვე, ნარკვევები ჭადრაკის წარმოშობაზე და საქართველოში ამ თამაშის გავრცელებაზე, მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაზე, სამამულო საჭადრაკო სკოლაზე.

**საჭადრაკო კომპოზიცია**

**გ. ნადარეიშვილი.** საჭადრაკო ეტიუდები. თბილისი. სახელგამი. 1952 წ. 222 გვ. 10.000 ეგზ.

ავტორის ეტიუდებისა და თეორიული შრომების კრებული. შინაარსი: 1. შესავალი, 2. ეტიუდები ამოხსნებით (საბჭოთა და უცხოელი კომპოზიტორების, მათ შორის, გ. ნადარეიშვილის 150 ეტიუდი). 3. როგორ შევადგინოთ საჭადრაკო ეტიუდი. 4. ჭადრაკის ისტორიიდან. 5. ჭადრაკი და ფსიქიკა.

**ი. ავერბახი.** როგორ ამოვხსნათ საჭადრაკო ეტიუდი. თარგმანი ა. ებრალიძისა. თბილისი. სახელგამი. 1959 წ. 84 გვ. 2.000 ეგზ.

**გ. ნადარეიშვილი.** ეტიუდები. თბილისი. „ნაკადული". 1965 წ. 267 გვ. ილუსტრაციებით. 20.000 ეგზ. სატიტულო გვერდი რუსულ და ქართულ ენებზე.

კრებულის ძირითად ნაწილს შეადგენს ავტორის ეტიუდები (78 კომპოზიცია), მისი თეორიული ნარკვევი — „ლაზიერი მსუბუქი ფიგურების წინააღმდეგ" და წერილი — „როგორ შევადგინოთ საჭადრაკო ეტიუდი". მეორე განყოფილებაში მოთავსებულია 60 ეტიუდი საქართველოს კონკურსებიდან. წიგნის ტექსტს წინ უძღვის ი. ავერბახის შესავალი სტატია — „საჭადრაკო კომპოზიციის ოსტატი გია ნადარეიშვილი". კრებულს ახლავს ეტიუდების საძიებელი.

**საორგანიზაციო მუშაობა ჭადრაკში**

სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსი. მეხუთე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თარგმანი ა. ფალავანდიშვილისა (ნ. სახაროვს შეცდომით ა. ფალიაშვილი დაუწერია. — რედ.). თბილისი. სახელგამი. 1949 წ. 68 გვ. 3.000 ეგზ.

იგივე კოდექსი ა. ფალავანდიშვილის თარგმანით სახელგამმა გამოსცა 1951 წ. 40 გვ. (ფიზკულტურელის ბიბლიოთეკა). 3.000 ეგზ.

**საჭადრაკო შეჯიბრებების სპეციალური ბიულეტენები**

**(რუსულ ენაზე)**

**სსრ კავშირის XXIV ჩემპიონატის** ნახევარფინალი. თბილისი. 1956 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბიულეტენი. თბილისი, 1956 წ. 21 ნოემბერი-22 დეკემბერი. №1-10.

ნახევარფინალის (I — ტ. პეტროსიანი) ყველა პარტია, ტურების მიმოხილვა, ცნობები მონაწილეებზე და ტურნირის სხვა მასალები. სტატიების სერია საქართველოში ჭადრაკის ისტორიიდან და სხვ.

**სსრ კავშირის XXV ჩემპიონატის** ზონალური ტურნირი. თბილისი. 1957 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი. ბიულეტენი. თბილისი, 1957 წ. 6 აპრილი-6 მაისი. № 1-10.

ტურნირის პარტიები (I — მ. ტაიმანოვი), ტურების მიმოხილვა. თ. გიორგაძის წერილები ჭადრაკის ისტორიაზე, მსოფლიო პირველობისთვის ბოტვინიკ—სმისლოვის მატჩზე და სხვ.

**სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატი.** ფინალი. თბილისი. 1959 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბიულეტენი. თბილისი. 1959 წ. 13 იანვარი-13 თებერვალი. № 1-20.

პირველობის ყველა პარტია (I — პეტროსიანი), ტურების მიმოხილვა, ნარკვევები პირველობის დებიუტანტებზე, სტატიები საქართველოში ჭადრაკის განვითარების შესახებ. ცნობილ ქართველ მოჭადრაკეებზე და სხვ.

**სამი ტურნირი თბილისში.** საქართველოს სსრ სპორტკავშირის ბიულეტენი. თბილისი. 1960 წ. 24 მაისი-1 ივნისი. № 1-4.

ქალთა საერთაშორისო ტურნირის (I — ლ. ვოლპერტი), საქართველო — რუმინეთის მატჩის. ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირის პარტიები და სხვა მასალები.

**პრეტენდენტთა ფინალური მატჩი.** საქართველოს სსრ სპორტკავშირის და რესპუბლიკური საჭადრაკო ფედერაციის ბიულეტენი. თბილისი. 1965 წ. 5 ნოემბერი-1 დეკემბერი. № 1-7.

სპასკი — ტალის მატჩის ყველა პარტია (შენიშვნებით) თბილისის საერთაშორისო ტურნირის (I — ბ. გურგენიძე) რჩეული პარტიები და სხვ.

• • •

ქართულ ენაზე საჭადრაკო წიგნები 1966 წლის შემდეგაც გამოვიდა. აი, ისინიც:

**ვ. ვასილიევი.** მეშვიდე რიგი. თარგმანი ი. ყიფიანისა. თბილისი. „ნაკადული". 1966 წ. 254 გვ. 10.000 ეგზ. გ. გამრეკელის ბოლოსიტყვაობა.

წიგნში თავმოყრილია ნარკვევები ნ. გაფრინდაშვილზე, ტ. პეტროსიანზე, მ. ტალზე, ვ. კორჩნოიზე და სხვ.

**თ. გიორგაძე.** ჭადრაკს გამიჯნურებულნი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო". 1968 წ. 130 გვ. პორტრეტებით. 5.000 ეგზ.

წიგნში ნაამბობია, როგორ აფასებდნენ და აფასებენ ჭადრაკს ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ვ. მაჩაბელი, კ. მარჯანიშვილი, პ. იაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ზ. ტაბიძე, პ. კობახიძე, ი. გრიშაშვილი, გ. აბულაძე, ნ. ა. შანიძე, ნ. კეცხოველი, ნ. კანდელაკი, ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და კულტურის სხვა მოღვაწეები.

**ე. ზაგორიანსკი.** მოთხრობა პოლ მორფიზე. თარგმანი მ. ქანთარიასი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო". 1968 წ. 274 გვ. 20.000 ეგზ.

მოთხრობა გენიალურ ამერიკელ მოჭადრაკეზე პ. მორფიზე ვრცელ ისტორიულ მასალაზეა აგებული. იგი რომანის ჟანრშია დაწერილი.

• • •

გამოიცა სპეციალური ბიულეტენებიც:

**სსრ კავშირის XXXIV ჩემპიონატი.** ფინალი. თბილისი. 1967 წ. საქართველოს სსრ სპორტკავშირის და რესპუბლიკური საჭადრაკო ფედერაციის ბიულეტენი. თბილისი. 1967 წ. 1 იანვარი-6 თებერვალი. № 1-15.

ტურნირის ყველა პარტია (I — ლ. შტეინი), ტურების მიმოხილვა, ორი საჭადრაკო კონკურსის — ჟურნალ „დროშის" და საჭადრაკო რესტავრაციის მასალები და სხვ.

**„E2—E4".** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ბიულეტენი. თბილისი. 1968 წ. 21 მაისი-4 ივნისი. № 1-4.

საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტურნირის (I — ნ. ალექსანდრია) რჩეული პარტიები, ყველა მონაწილის ბიოგრაფიული ცნობები და ფოტოსურათები. თ. გიორგაძის წერილების სერია „ტრადიციის ნაკვალევზე" — ქალთა საერთაშორისო ტურნირების ისტორია საქართველოში და სხვა მასალები.

**გაფრინდაშვილი—კუშნირის მატჩი.** თბილისი. 1969 წ. 27 აპრილი-29 მაისი. გაზეთ „ლელოს" სპეციალური გამოშვება. № 1-4. ქართულ ენაზე.

* დასასრული. იხ. „ლელო" № 87.

# მეგობრების ხსოვნას მიეძღვნა

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გეოლოგიის სამმართველოს კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის პროფკავშირის კომიტეტმა მოაწყო ტურნირი ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებები მიეძღვნა ამავე სამმართველოსა და ექსპედიციის თანამშრომლების, გეოლოგიური პარტიის უფროსების, ცნობილი კალათბურთელის, სპორტის ოსტატ თ. ტოგონიძისა და ფიზკულტურის დიდი ენთუზიასტის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ო. ნარჩემაშვილის ხსოვნას.

კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის პროფკავშირის კომიტეტმა დააწესა გარდამავალი თასი ჭადრაკში, რომელიც ამიერიდან თ. ტოგონიძის სახელს ატარებს, და ო. ნარჩემაშვილის სახელობის ასეთივე თასი მაგიდის ჩოგბურთში.

მოჭადრაკეთა ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა. 15,5 ქულით I ადგილი მოიპოვა გეოლოგიის სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. ბააკაშვილმა. მას გადაეცა საპატიო ჯილდო. II ადგილზე გავიდა შ. ხადური (ჯუთის გეოლოგიური პარტიის მთავარი გეოლოგი), III — ი. ჯაფარიძე (თბილისის ჰიდროგეოლოგიური პარტიის გეოლოგი).

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში ასპარეზობდა 22 სპორტსმენი. I ადგილი და გარდამავალი ჯილდო ვ. გოგიშვილს მიეკუთვნა (მიწისქვეშა ნავთობსაცავების საინჟინრო-გეოლოგიური პარტიის გეოლოგი), II ადგილი წილად ხვდა ბ. ვაშაძეს (ახალციხის ძებნითი გეოლოგიური პარტიის მთავარი გეოლოგი).

ვ. გოგიშვილი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

„ლოკომოტივის"
სტადიონი




სსრ კავშირის
პირველობა
3 ივლისი

I ტურ

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი).

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

თბილისი
სპორტულ
ბაზაზე

ჭიდაობა (კლასიკური და თავისუფალი). სპორტის სასახლე. მოსკოვისა და თბილისის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. 4 ივლისი. დასაწყისი 19 საათზე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03313